ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔ-ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

№ 4 (225) ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-13 ᲬᲔᲚᲘ • 1969 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ

მე-2 გვერდზე

● საქართველოს სავაჭრო პალატის საგარეო და საშინაო საქმეებს გაგაცნობთ ინტერვიუ რაფიელ ელიგულაშვილთან.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲑᲔᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲡ“ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ.

ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲘᲪᲘᲡ ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ!

მე-6 გვერდზე

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲖᲦᲕᲐᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲠᲘᲒᲔᲒᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ. ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲖᲣᲠᲒᲘᲡ ᲥᲐᲠᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ, ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲝ!“ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲒᲘᲗᲮᲠᲝᲒᲗ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲒᲘᲗ ᲠᲔᲖᲝ ᲛᲐᲮᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ— „ᲗᲐᲙᲐᲠᲐ ᲛᲖᲔ, ᲖᲦᲕᲐ ᲓᲐ... ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ“.


ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ, ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲒᲕᲔᲠᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲢᲐᲕᲡ — ᲨᲝᲗᲐ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ — ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᩫᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲐᲓᲠᲐᲙᲔ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ, ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ, ᲠᲔᲒᲑᲘ, ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ.

მე-8 გვერდზე


ᲒᲨᲘᲫᲠᲝᲑᲗ, ᲓᲐᲒᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ [illegible] ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲛᲘᲡ [illegible] ᲓᲒᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ [illegible] ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲝᲛᲒᲔᲠᲘ.

ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ



ᲤᲐᲠᲓᲐ ᲔᲮᲓᲔᲑᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐᲡ!



ᲝᲗᲮ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ 16 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲓᲜᲘᲡ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲘᲒᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲪᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲣᲠᲧᲕᲔᲕᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲓ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲮᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲪᲜᲔᲡ ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲬᲔᲕᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲛ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ“. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ. ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ: „ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ“, „ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ“, „ᲥᲝᲚᲒᲐ“, „ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲐ“.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲝᲤᲠᲝᲡ, ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲓᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ — ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲣᲞᲠᲐᲫᲔ, ᲔᲚᲔᲤᲗᲔᲠ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲕᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲯᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲮᲔᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲓᲔᲕᲘ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲞᲐᲨᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲛ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲣᲐᲛᲒᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ.

● ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ!

(ᲛᲔ-5 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

1667 ᲝᲥᲠᲝᲡ ᲜᲘᲕᲗᲘ ᲔᲠᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲨᲘ!

ᲑᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ, ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ!

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲐ!

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ

ქართული მეცნიერების ზეიმი

გვესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი

მოსკოვში საბჭოთა საქართველოს მეცნიერების მიღწევათა დათვალიერება ცხადყოფს ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მეცნიერების ცენტრი ჩვენი ქვეყნის რამდენიმე უდიდესი ქალაქი იყო. ახლა უველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა და განმტკიცდა რესპუბლიკური აკადემიები, რომლებსაც სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელი აქვთ გაიზარდნენ ეროვნული კადრებიც, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.


მე, რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების მოწმესა და მონაწილეს, კარგად მახსოვს ის დღეები, როცა ძალიან ეყრებოდა ეროვნული სამეცნიერო კადრების მომზადებას. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოკლენა იყო მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომელიც 1941 წელს შეიქმნა.

ნაცვლად 14 პატარა და სუსტად აღჭურვილი სამეცნიერო დაწესებულებისა, რომელიც 30-იან წლებში შედიოდა აკადემიის სისტემაში, ახლა 38 დაწესებულებაა. მათ ჰყავთ მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრები, აქვთ უახლესი და ბევრ შემთხვევაში უნიკალური მოწყობილობებით. აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი ექსპერიმენტული ბაზა.

ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ფართო და მტკიცე წინსვლას დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ახლა 200-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და 18 უმაღლესი სასწავლებელია სადაც მუშაობს ცოდნის სხვადასხვა დარგის 14 ათასზე მეტი სპეციალისტი, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 50 აკადემიკოსი და 55 წევრ-კორესპონდენტი, 700-მდე მეცნიერებათა დოქტორი და 4.800-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. ბევრი ქართველი მეცნიერი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემიებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრია. ჩვენ მეცნიერთა ბევრ ნაშრომს მიენიჭა ლენინური, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები.

საქართველოში წარმატებით ვითარდება კვლევა თანამედროვე მეცნიერების უველაზე ძირითად დარგში. კვლევა წარმოებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესაბამისად. აგრეთვე მთელი რიგი წლების განმავლობაში შექმნილი ტრადიციებისამებრ.

საქართველოში შეიქმნა და განმტკიცდა ეროვნული მათემატიკური სკოლა, რომელიც მათემატიკისა და თეორიული მექანიკის არაერთ დარგში წამ-



● სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ალექსანდრე ჯაფარიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, აკაკი შანიძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

მიხეილ კვირიკაშვილის ფოტო

უვანია საბჭოთა კავშირში. მისი გამოკვლევები დრეკადობის მათემატიკურ თეორიაში, ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში. მექანიკის პრობლემების გადასაწყვეტად ანალიზური ფუნქციების თეორიისა და ანალიზის მეთოდების გამოყენების, ახალი გამოსათვლელი მანქანების თეორიული საფუძვლების შექმნის დარგში ცნობილია შორს, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ქართული მეცნიერების წარმატებათა საწინდარია ფუნდამენტური თეორიული ნაშრომების სწორი შეხამება გამოკვლევებთან, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ტექნიკის ბევრ დარგში. მეცნიერების არაერთ დარგის მათემატიზაცია საშუალებას აძლევს მათ უკეთ შეიცნონ ბუნების კანონზომიერებანი და მატერიის ორგანიზაციის ფორმები, ახალი იდეები და სქემები გადააქციონ ორიგინალურ ტექნიკურ ძოწყობილობათა კონსტრუქციებად. აქტუალური მნიშვნელობა აქვს აკადემიკოს ილია ვეკუასა და მისი თანამშრომლების ნაშრომებს გარსების თეორიის დარგში, რომლებიც წარმატებით გამოიყენეს. მაგალითად, ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის 270-მეტრიანი თაღოვანი კაშხალის დაპროექტებისას.

ნაყოფიერად მუშაობენ ქართველი ფიზიკოსებიც, რომლებმაც დიდმნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს მაღალ ენერგიათა დაბალ ტემპერატურათა, მყარი სხეულის ფიზიკაში, ბირთვულ ფიზიკაში, ბიოფიზიკაში. პლაზმის ფიზიკაში და სხვა. მათი ნაშრომები „ტემპერატურული ჰის“ ფსკერზე ზედენადობის დარგში შესანიშნავი წვლილია მეცნიერების ახალი დარგის — კვანტურ სითხეთა ჰიდროდინამიკის შექმნაში.

მთელ მსოფლიოში ფართო აღიარება მოიპოვა ატომური ნაწილაკების დეტექტორმა — ახალი ტიპის ტრეკის იზოტოპურმა ნაპერწკლურმა კამერამ, რომელიც თბილისში შეიმუშავეს.

ახალ კანონზომიერებათა აღმოჩენასთან, მატერიის არსსა და სტრუქტურაში ჩაწვდომასთან ერთად ქართველი მეცნიერები ამავე დროს თავიანთი გამოკვლევებით აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ბუნებაზე. მათ მიერ შემუშავებული მეთოდებისა და საშუალებების ბაზაზე იფანტება მძლავრი ბოლქვა ღრუბლები, თავიდან შეგვიძლია ავიშოროთ სეტყვა. რესპუბლიკაში არის ამ სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის სპეციალური სამსახური, რომელიც სეტყვისაგან იცავს 460 ათას ჰექტარს. ბუნებაზე ზემოქმედების მეთოდები, რომლებიც ქართველმა გეოფიზიკოსებმა შეიმუშავეს, წარმატებით ნერგება უკრაინაში, მოლდავეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა დახმარებით სეტყვისაგან იცავენ ვენახებსა და ბაღებს მოძმე ბულგარეთში.

განსაკუთრებით არ ვეხები ცოდნის ისეთი დარგების წარმატებებს, როგორიც არის ასტროფიზიკა, გეოლოგია, გეოგრაფია, ქიმია და სხვა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათი მიღწევები ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს.

ამ ბოლო დროს ჩვენს აკადემიაში სწრაფად ვითარდება მეცნიერების ისეთი თანამედროვე დარგები, როგორიც არის კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა და ტელემექანიკა. ინტენსიურად ფართოვდება აგრეთვე კვლევა სამოთ მეცნიერების, მანქანათმშენებლობის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგში. ამ დარგში მომუშავე მეცნიერებმა შეიმუშავეს რთული აეროდინამიკური სისტემების მათემატიკური აღწერისა და რიცხობრივი კვლევის წესები. წარმატებით მიმდინარეობს დიდმნიშვნელოვანი კვლევა მეტყველებით ბრძანებათა ავტომატური გამოცნობის დარგში. დამთავრდა მუშაობა რუსულიდან ქართულ ენაზე ავტომატური თარგმნის ალგორითმის შესაქმნელად, შემუშავებულია მობილური მანქანების გაანგარიშების მეთოდები მთის პირობებში მათი საიმედობისა და გაძლეობის გასადიდებლად.

ცნობილია, რომ ბიოლოგიაში, ისევე როგორც ასტროფიზიკასა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში ახლა მოსალოდნელია ფრიად მნიშვნელოვანი გადატრიალებანი მატერიაზე ჩვენს წარმოდგენაში. ბიოლოგიის ისეთი დარგები, როგორიც არის ფიზიოლოგია, ბოტანიკა, ჯალეობიოლოგია, ზოოლოგია და სხვა, ტრადიციულია ქართული მეცნიერებისათვის. ქართული სკოლის ფიზიოლოგებმა განახორციელეს დიდმნიშვნელოვანი კვლევა იმისათვის, რომ გამოერკვიათ რა როლს ასრულებენ თავის ტვინის უბნები. ნერვული მექანიზმები სივრცეში ადამიანის და ცხოველების ორიენტაციაში. ამჟამად მეტი ყურადღება ეთმობა მეხსიერების ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლას. ნაყოფიერად ვითარდება ბიოფიზიკა და ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, რადიოქიმია.

საქართველოს საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მდიდარი ტრადიციები აქვს. მარქსისტულ-ლენინურმა კვლევამ საშუალება მოგვცა მიგვეახლოვებინა ისინი თანამედროვეობასთან, მიგვენიჭებინა მათთვის აქტუალური ქმედითი ხასიათი, აგვმაღლებინა მათი, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობის, მეცნიერული საფუძვლის როლი.

დიდი სამუშაოები შეასრულეს ქართველმა მეცნიერებმა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, არქეოგრაფიის, ლიტერატურისმცოდნეობის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელოვნებისმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, სამართლის, ეკონომიკის ფსიქოლოგიის დარგებში.

ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ძლიერმა სკოლამ, რომელსაც აკადემიკოსი გიორგი წერეთელი მეთაურობს, ამას წინათ საკავშირო აკადემიის საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

ჩვენი ხალხის შემდგომი სულიერი გამდიდრებისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენებს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, როგორიც იყო გენიალური შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი, თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავი, დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი. რესპუბლიკის აკადემიამ უაღრესად აქტიური წონაწილეობა მიიღო ამ ეროვნულ დღესასწაულთა მომზადებასა და მოწყობაში, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნა.

ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში ახალი წვლილი იქნება ფუნდამენტური ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა, რომლის პირველი ტომი გაისად უნდა გამოვიდეს.

ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ ქართველმა მეცნიერებმა უკვე შეასრულეს ყველა ამოცანა. ჩვენს გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს ვლადიმერ ლენინს საჭიროდ მიაჩნდა, რომ მეცნიერება სავსებით და ნამდვილად იყოს ჩვენი ყოფა-ცხოვრების შემადგენელი ელემენტი. (საქდესი).

საქართველოს სავაჭრო პალატის საგარეო და საშინაო საქმეები

საქართველო ხშირად მონაწილეობს, და წარმატებითაც, საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე, დამთვალიერებლებსა და მომხმარებლებს მრავალფეროვან პროდუქციას სთავაზობს.

მკითხველს ალბათ აინტერესებს, თუ როგორ ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა, რა შეფასებას იმსახურებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პროდუქცია, რომელსაც ქართული მარკით ვგზავნით. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს რაფიელ ელიგულაშვილს.



● რითი ხასნით ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე?

— საქართველო დიდი ხანია მრეწველობის რესპუბლიკად იქცა. ახლა ჩვენ კვირაში იმდენ პროდუქციას ვუშვებთ, რამდენსაც რევოლუციამდე მთელი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით. გამოშვებული პროდუქციის მოცულობით საქართველოს, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, მეოთხე-მეხუთე ადგილი უჭირავს. ქართული მარკის პროდუქციას მსოფლიოს თითქმის შვიდი ათეული ქვეყანა ყიდულობს. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ჩვენი ნაწარმის პოპულარობაზე.

მანქანა-იარაღებსა და ხელსაწყოებს, მოტორიან ნავებსა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს, ღვინოსა და ჩაის საქართველო გზავნის ყველა საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე, სადაც საბჭოთა კავშირი მონაწილეობს.

ქართული ეკონომიკის მიღწევათა გამოფენების მოწყობას, როგორც წესი ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სავაჭრო პალატა, რომელიც ერთერთი უძველესია საბჭოთა კავშირში.

● რომელ საერთაშორისო ბაზრობაში მონაწილეობდა საქართველო უკანასკნელ ხანს?

—1964 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო ირანის სამრეწველო გამოფენაში. მომდევნო, 1965 წელს კი იზმირის საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობაზე ჰქონდა დამოუკიდებელი ექსპოზიცია.

1967 წლის სექტემბერში ალჟირის საერთაშორისო ბაზრობაზე ქართული პროდუქცია კვლავ უხვად იყო გამოფენილი. მხატვრებმა ჩვენი პავილიონის გასაფორმებლად ფართოდ გამოიყენეს ჭედურობა და კერამიკა. რადიოქსელი გადასცემდა ქართულ მუსიკას, ხოლო ეკრანზე აჩვენებდნენ ქართულ ფილმებს.

ბაზრობის ჟიურიმ საქართველოს ექსპოზიციას უმაღლესი ჯილდო — ოქროს დიდი მედალი მიაკუთვნა.

შემდეგ საქართველო მონაწილეობდა ბუქარესტის სავაჭრო სამრეწველო გამოფენაზე. მნახველებს ვუჩვენეთ ჩვენი სახელგანთქმული ჭედური და კერამიკული ხელოვნების ნიმუშები, საიუველირო ნაწარმი, ეროვნული ტანსაცმელი.

შარშან საქართველომ მეორედ მიიღო მონაწილეობა იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე.

● მსოფლიოს რომელი ქვეყნის ბაზრობაზე ან გამოფენაზე იხილავენ ქართულ ნაწარმს უახლოეს მომავალში?

— ოქტომბერში ირანში იხსნება აზიის ქვეყნების მეორე საერთაშორისო ბაზრობა, სადაც საქართველოც იქნება წარმოდგენილი. მოეწყობა ჩვენი მრეწველობის, მეურნეობის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ექსპოზიცია. ირანის ბაზრობა იმითაც არის საინტერესო, რომ ამ ქვეყანასთან საქართველოს მოსაზღვრე ვაჭრობა აქვს.

ბულგარეთის საუუბილეო ოცდამეხუთე ბაზრობაზე საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოდების სახლი აწყობს ქალთა და მამაკაცთა ტანსაცმლის გამოფენას. აქაც საქმის ორგანიზატორი და ხელშემწყობი საქართველოს სავაჭრო პალატაა. მანუკენთა და მემოდელეთა ჯგუფი უკვე გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

გაისად დამოუკიდებელი ექსპოზიციები გეექნება სირიის საერთაშორისო ბაზრობაზე დამასკოში, სადაც გუჩვენებთ დაზგებს, სამშენებლო მასალას, ელექტროდანადგარებს.

ქართველმა არქიტექტორებმა და მხატვრებმა ადგილზე შეისწავლეს დამასკოს საგამოფენო ტერიტორიის რელიეფი და ამჟამად მუშაობენ პავილიონის დაპროექტებაზე.

● უველაფერი, რაც ითქვა, საქართველოს სავაჭრო პალატის საგარეო საქმეებს შეეხებოდა. როგორია მისი საშინაო საქმეები?

—უკანასკნელ წლებში საქართველოში მომძე დემოკრატიული ქვეყნების მიღწევათა ორმოცზე მეტი გამოფენა მოეწყო. ამავე პერიოდში ჩვენთან სტუმრად იყვნენ სამოცდაათამდე სავაჭრო და სამრეწველო ფირმის წარმომადგენლები. გვქონდა საქმიანი თათბირებიც, რომელთა მიზანი იყო ორმხრივი ვაჭრობის გაფართოება.



წელეულს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გაეცნენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, დემოკრატიული გერმანიის სამრეწველო გამოფენებს. რამდენიმე დღის წინათ თბილისში დაიხურა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკანცელარიო და გამომთვლელი მანქანების გამოფენა. ამ დღეებში ბათუმი მასპინძლობდა პოლონეთის ფირმა „ციესის“ გამოფენას.

ყოველივე ზემოთქმული ჩვენი საქმიანობის დღევანდელი დღეა. კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საქმიანია მომავალი გეგმები.



საფრანგეთის დღეები საქართველოში

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობა მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. ამ ორი ერის წარმომადგენლები ცდილობენ ყოველთვის ახლოს გაიცნონ ერთმანეთის წარსული და აწმყო, კულტურა და ხელოვნება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოსა და საფრანგეთის დღეები, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა ორსავე ქვეყანაში.

წლეულს ჩვენთან საფრანგეთის დღეები 16 სექტემბერს დაიწყო და დღეს, 26 სექტემბერს, მთავრდება. ზეიმში მონაწილეობენ „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის პრეზიდენტთა საბჭოს წევრი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი როლან ლეროი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ამავე ასოციაციის ეროს დეპარტამენტის განყოფილების გამგე-პრეზიდენტი შარლ ალენსი, პაიონის ბასკური მუზეუმის დირექტორი შან არიჩქარი, გამომცემლობა „საფრანგეთის გაერთიანების“ დირექტორი მადლენ ბრონე.

ზეიმი დაიწყო ფრანგ ბავშვთა ნამუშევრების ჩვენებით თბილისის ბორის ხელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

ამავე დღეს ფრანგთა დელეგაცია ეწვია მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. საღამოს ვახ სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა საზეიმო შეკრება და ფრანგული მუსიკის კონცერტი.

კინოთეატრ „ამირანში“ გაიხსნა ფრანგული კინოფილმების ფესტივალი.

ზეიმის დღეებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი მაყურებელს უჩვენებდა ფრანგ დრამატურგთა ნაწარმოებებზე შექმნილ სპექტაკლებს.

როლან ლერუამ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებს წაუკითხა ლექცია თემაზე — „საფრანგეთი დღეს“, წარმოადგენდა ეწვია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თანამშრომლებს და წაიკითხა ლექცია — „ერის დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და მეღვინეობა“, ჟან არიჩქარმა კი ბასკების ცხოვრება გააცნო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებს.

თბილისში მოეწყო ფრანგული ფოტოსურათებისა და რეპროდუქციების დემონსტრირება. საქართველოს რადიო და ტელევიზია გადასცემდა ფრანგულ მუსიკას, ლექციებს, საუბრებს საფრანგეთის კულტურასა და ხელოვნებაზე. კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გახსნილი იყო ფრანგული წიგნის გამოფენა.

ფრანგი სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ რუსთავში, კახეთსა და აჭარაში.

სტუმრების პატივსაცემად გამართულ სადილზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შოთა ჭანუყვაძემ და როლან ლეროამ.

— საქართველოში გატარებული დღეები დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის, — თქვა საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა როლან ლეროამ. — ეს დღეები კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი ხალხების მეგობრობას, კიდევ უფრო გვაახლოებენ ჩვენ.

სურათზე: ფრანგ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენას ხსნის საქართველოს სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი. მარცხნივ როლან ლეროა.

ქართველოლოგთა ჟურნალი პარიზში



1958 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე დაიწყო გამოსვლა ქართველოლოგთა ყურნალმა „ბედი ქართლისამ“, რომელშიც წერილების ნაწილი ინგლისურ და გერმანულ ენებზეც იბეჭდება. იგი წმინდა მეცნიერული ხასიათისაა და თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს სწავლულთა და მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობა.

მის რედაქციას მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოს სამეცნიერო წრეებთან, დასავლეთევროპელ გამოჩენილ ქართველოლოგებთან, ყველასთან, ვინც დაინტერესებულია ქართველი ხალხის კულტურით, ისტორიით, ენითა და ლიტერატურით.

რედაქციას წარმოადგენს სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შედიან სახელგანთქმული მეცნიერები: იულიუს ასფალგი, უერარ გარიტი, ფრანსუა გრაფენი, რენე ლაფონი, დევიდ მარშალ ლანგი, ირენ მელიქოვი, შარლ მერსიე, უოზეფ მოლიტორი, გერტრუდ პეჩი, კარლ ჰორსტ შმიდტი, ჰანს ფოქტი.

ჟურნალის რედაქტორი არის პროფესორი კალისტრატე სალია, მოადგილე კი — მისი მეუღლე ნინო სალია. ჟურნალს აფინანსებს საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ჟურნალში პერიოდულად ქვეყნდება ქართველი მეცნიერების — კორნელი კეკელიძის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ალექსანდრე ბარამიძის, იოსებ მეგრელიძის, გაიოზ იმედაშვილის, მიხეილ ჩიქოვანის, დავით ფანჩულიძის, გასტონ ბუაჩიძის, ბესო ყღენტის, გიორგი ჯიბლაძის, დომიტრი ბენაშვილის, შალვა რადიანისა და სხვათა ნაშრომები.

დიდ მუშაობას ეწევა ჟურნალის რედაქტორი პროფესორი კალისტრატე სალია. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი წერილი და გამოკვლევა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, სახელდობრ, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ასევე ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ქალბატონი ნინო სალია, რომლის შრომები ძველ ქართულ ლიტერატურაში სპეციალისტთა ყურადღებას იმსახურებს. ასეთებია მისი „ამირან-პრომეთეს პრობლემა“, „შუა საუკუნეების ქართული პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული და მეცნიერული მნიშვნელობა“, „შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილე“, „ვარძია“, „საქართველოს დედოფლის ქეთევანის წამება“ და სხვა.

ჩვენს ხელთ არის 1968 წლის „ქართველოლოგიის ჟურნალის“ 25-ე, საიუბილეო ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია საინტერესო მასალები: ნინო სალიას — „ქართველოლოგიის ჟურნალის“ იუბილე“, რენე ლაფონის — „ბასკური და კავკასიური ენების ნათესაობის საკითხისათვის“. უერარ გარიტის —„აკაკი შანიძე — ქართველოლოგიის მამამთავარი“. „წმინდა მართას ცხოვრების ქართული ვერსია“, კალისტრატე სალიას — „ქართული ლიტერატურა“, ლუი ტარდიეს — „ურთიერთობანი საქართველოსა და უნგრეთს შორის მე-13-18 საუკუნეებში“, პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის — „სომხური არქიტექტურა“, უოზეფ მოლიტორის — „ძველი ქართული ბიბლიის თარგმანი, როგორც სირიული ტრადიციის შემნახველი“, გერტრუდ პეჩის „ქართული სიტყვის სტრუქტურის ანალიზისათვის“, ბრიეს—„საფლავი იმერეთის მეფე სოლომონ მეორისა“, დევიდ ლანგის — „ურარტუ და კავკასია“, რენე ლაფონის — „იბერიულ-კავკასიური ენები“, რენე შმერლინგის — „XI საუკუნის ქართული ხელნაწერის მხატვრული ჩვენება“ და სხვა.

ჟურნალის მუშაობას საუკეთესო შეფასებას აძლევენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები. პროფესორი რენე ლაფონი წერს:

„მე ლინგვისტი ვარ და 1957 წლიდან რეგულარულად ვთანამშრომლობ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“. შემიძლია აღვნიშნო, რა დიდ დახმარებას უწევს ეს ჟურნალი ენათმეცნიერებს მუშაობის ყველა სფეროში, არა მხოლოდ ქართულისა და ქართველური ენების შესწავლისას, არამედ მთლიანად კავკასიური ენების კვლევის დროსაც.

1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, დაახლოებით ერთი თვე დავყავი თბილისში, სადაც ვიგრძენი, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ლინგვისტები და, საერთოდ, ქართველი ინტელიგენცია ამ ჟურნალს. ეს ჟურნალი არის ორგანო, რომელიც აკავშირებს ყველას, ვინც საქართველოსა და მის გარეთ, სახელდობრ, დასავლეთ ევროპაში მეცნიერულად სწავლობს კავკასიის ხალხთა ენასა და ლიტერატურას“.

პროფესორი შარლ მერსიე წერს: ჟურნალში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებულ მასალებს თუ დავჯამებთ, განცვიფრებული დავრჩებით მათი შინაარსის სიმდიდრითო.

ჟურნალს დიდად აფასებს ოხლოს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჰანს ფოქტი: „ვხედავ წელიწადია, რაც დავიწყე ქართულის კვლევა. წინათ ამ დარგში მომუშავეთა ჩამოთვლა ხელის თითებზე შეიძლებოდა. ახლა კი მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. დღეს ქართულით და სხვა კავკასიური ენებით დაინტერესებულია მრავალი ენათმეცნიერი. ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მიმართულებით. მან მიიზიდა ევროპის გამოჩენილი მეცნიერები, დაკავშირა ისინი საბჭოთა კავშირის, კერძოდ, თბილისელ ლინგვისტებს... ჩემი პატივისცემა და მადლობა პროფესორ კალისტრატე სალიასა და ქალბატონ ნინო სალიას, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ჟურნალის დაარსებასა და რედაქტირებაში“.

1964 წლის ზაფხულში საფრანგეთში იმოგზაურა ქართველ მწერალთა ჯგუფმა, რომელსაც კრიტიკოსი ბესო ყღენტი ხელმძღვანელობდა. პარიზში იგი იყო ქართველოლოგთა ჟურნალის რედაქციაში, გაეცნო მის მუშაობას. საუბარი ჰქონდა რედაქტორთან ლიტერატურის საკითხებზე, ჟურნალის ამოცანებზე.

„პარიზელ ქართველთა კულტურული მოღვაწეობის დარგში, — წერს ბესო ყღენტი, — განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველოლოგიური ჟურნალი „ბედი ქართლისა“. ამ ჟურნალის რედაქტორი კალისტრატე სალია და მისი მეუღლე ნინო სალია, ჟურნალის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი გამოცემის საქმის ენთუზიასტი და ორგანიზატორი, სასარგებლო მუშაობას ეწევიან უცხოეთში სამშრთველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პროპაგანდისათვის“.

იქვე ბესო ყღენტი აღნიშნავს, რომ „საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებში ინახება მრავალი ისეთი უნიკალური ნივთი თუ წერილობითი დოკუმენტი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის. გამოითქვა სურვილი, რომ გამოიძებნოს შესაფერი გზები და საშუალებანი სამშობლოში ამ ისტორიულ ფასეულობათა დაბრუნებისათვის“.

თუ ამ დოკუმენტებს ჟურნალი გამოავლენს და გამოაქვეყნებს თავის ფურცლებზე, კარგ საქმეს გააკეთებს.

ქართველ საზოგადოებრიობას აინტერესებს, როგორ აფასებენ საფრანგეთის პრესა, კრიტიკოსები, მეცნიერები. მკითხველები იმ ქართულ მასალას, რომელიც ქართველოლოგიის ჟურნალში ქვეყნდება. ამიტომ ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება ჟურნალმა თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმოს კრიტიკოსთა წერილებსაც, რომლებიც ებმაურებიან საქართველოზე, ქართველ მწერლებზე. ქართულ ენასა და ლიტერატურაზე დაწერილ გამოკვლევებს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს შეიძლება ყველაფერი არ დავეთანხმოთ, ზოგი რამ სადავო, სადისკუსიო იყოს, მაგრამ ამაზე ახლა. რა თქმა უნდა, ასეთ ზოგად. მოკლე საჯაზეთო მიმოხილვაში ვერ შევჩერდებით. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალს უეჭველად თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ჩვენი მეცნიერების, ხელოვნებისა თუ ლიტერატურის ცვლევასა და პოპულარიზაციაში.

სერგო თურნავა,
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საერთაშორისო სიმპოზიუმები, ფორუმები

● 23 სექტემბერს თბილისში გაიხსნა მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებზე, რომელიც განიხილავს გეგმიან სოციალისტურ მეურნეობაში წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობის შემდგომი განვითარების თეორიული საფუძვლებისა და გზების პრობლემებს.

მის მუშაობაში მონაწილეობს რვა სოციალისტური ქვეყნის — ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სამასი წარმომადგენელი.

სიმპოზიუმი ექვს დღეს გასტანს.

● თბილისში მუშაობა დაამთავრა გულ-სისხლძარღვთა და ჰიპერტონიული დაავადების კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოთერაპიის საკითხებისადმი მიძღვნილმა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელიც მოიწვიეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაცევტული მრეწველობის გაერთიანებამ.

● თბილისის უნივერსიტეტის ახალი შენობის სააქტო დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა მათემატიკოსთა საკავშირო კონფერენცია თემაზე: — „ოპტიმალური მართვა და მინიმალური ზედაპირები“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩვენი ქვეყნის მსხვილი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნეს აკადემიკოსებმა ილია ვეკუამ და ლევ პონტრიაგინმა.

მიპატიჟება ჩეხოსლოვაკიაში

პაზის სიყვარულმა დაამეგობრა რაჭის მთის კალთებზე შეფენილ სოფელ სადმელისა და ჩეხოსლოვაკიის სოფელ ბრატისლავ-რაჩას მკვიდრნი.

რამდენიმე წელიწადია, რაც ქართველი და ჩეხი მევენახეები ერთმანეთს ყურძნის მოვლაში ეჯიბრებიან. ახლახან ჩეხოსლოვაკიიდან მოსულმა წერილმა, რომელსაც ხელს აწერს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ბრატისლავა-რაჩას თავმჯდომარე ფრანტიშეკ სლეზაკი, დიდად ასიამოვნა სამხელელები. შორეული მეგობრები 28 სექტემბრისათვის მათ რთველზე ეპატიჟებიან.

„პრავდა“, 17 სექტემბერი.



ძმაო, ქართველებო...

20 სექტემბერს მთელ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი. ძნელია მოიძებნოს ქართული კულტურის სხვა, მისებრ უანგარო მეგობარი. სომეხი მგოსნის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი წერილები და სტატიები, რომლებშიც იშვიათი სიყვარულითა და პატივისცემით წერს ჩვენი ერის სულიერ და ფიზიკურ სიკეთეზე. გთავაზობთ ოვანეს თუმანიანის ორ წერილს, რომელიც ამას წინათ გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა.

დღეგრძელობა ქართველერს

ძმებო ქართველებო, ჩვენო უძველესნო და მრავალტანჯულნო, მაგრამ მარად თავისუფალნო და კეთილშობილი სულის ძმებო!

ლიტერატურა თუ ერის სულის ჭეშმარიტი ანარეკლია, პოეტი კი — ამ სულის გამომხატველი, მაშინ თქვენთან მომაქვს ჩემი ერის სული, — ყველაზე მაღალი და კეთილშობილი რამ, რაც კი შეიძლება ჰქონდეს ერსა და ადამიანს.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ კავკასიაში ქართველები მუდამ პირველნი იყვნენ თავიანთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბრძოლაში.

თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს მეზობელ ერთა ურთიერთობებს, შეუძლებელია არ დამეთანხმოთ, რომ ქართველები ერთ-ერთი საუკეთესო მეზობლები არიან.

ჩვენ შევქმნით უფრო მჭიდრო, მძლავრ, სულიერ და კულტურულ კავშირს დიდ საქმეთა ერთად საკეთებლად.

ჩვენ, კავკასიის ერები, მხარდამხარ და ძმურად ვიყავით მარად, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, რომელთა მწვერვალები ბრწყინავენ ცალ-ცალკე, მაგრამ ერთად არიან ერთი დედაფუძით შეერთებულნი.

გაუმარჯოს კავკასიის ერთა ძმობას!

1913 წელი

ქართული პოეზია

ქართველის წრფელი და ხალასი ბუნება, მისი კეთილშობილება, ბუნებრივი სიფაქიზე, სილამაზისა და თავისუფლების სიყვარული — ეს ყველაფერი, სიცოცხლის წყურვილითა და ნაზი სევდის ათინათით გაბრწყინვებული, საწინდარია იმისა, რომ ქართულ პოეზიას დიდი მომავალი აქვს.

ეს თვისებები კი საოცარი რელიეფურობით აქვს შთა რუსთაველს, რომელიც მთელი არსებით, სულითა და გულით ქართველია.

ძველი თბილისი თუმცა საიათნოვას მსგავსად სინთეზია აღმოსავლეთის უამრავ ერთა ცხოვრებისა და სულიერი ძღიერებისა, — მასში მაინც უმთავრესად ქართული სულია აღბეჭდილი.

ეს სული შესანიშნავად ჩანს ქართველი ერის განმანათლებლის წმინდა ნინოს ჯვარში, რომელიც ვახისა და ქალწულის თმებით არის შეკრული. ამით ჰარმონიულად გამოხატულია ზეციური სიდიადე და მიწიერი სიხარული. ქართველისათვის პოეტურობა იმდენად დამახასიათებელია, რომ ყოველი ქართველი თავს პოეტად თვლის. ამ თვისების გამო ქართველი კაცი მტრისთვისაც კი მიმზიდველია.

ამ ღვთიური ნიჭის წყალობით, რომელსაც ფართო გზა ეძლევა საქართველოში, ეს ქვეყანა თანდათან პოეზიის სამშობლოდ იქცევა.

1920 წელი.

ძალზე დიდი ტრადიციები აქვს ქართველოლოგიას ლენინგრადში. მისი ფუძემდებელია ფართო მასშტაბის ქართველი მოღვაწე და თავისი დროის ბრწყინვალე მეცნიერი თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი, რომელიც უფრო თეიმურაზ ბატონიშვილის სახელით არის ცნობილი (1782-1846).

როგორც თვითონ თეიმურაზი წერს, იგი იყო წევრი „სრულიად როსიის სანკტ-პეტერბურგის აკადემია ნაუკისა, პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნიი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენღაღანის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა, პირველთა ჩლენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა“.

აქ თეიმურაზ ბაგრატიონი აკადემიის საპატიო წევრად იხსენიება, მაგრამ ფაქტიურად იგი იყო სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პირველი ქართველი აკადემიკოსი (აირჩიეს 1837 წელს).

კოპენჰაგენის ანტიკვარული საზოგადოებისა და პარიზის სააზიო საზოგადოების წევრობის გარდა, მასვე ჰქონდა პატივი ყოფილიყო საფრანგეთის თავისუფალი ხელოვნების აკადემიის წევრიც.

თეიმურაზის მიერ დაწყებული ქართველოლოგიური კვლევა-ძიება განავითარეს კარგად ცნობილმა მისმა მოწაფეებმა — ფრანგმა მარი-ფელიციტე-ქსავიე ბროსემ (1802-1880) და ჩვენმა თანამემამულემ დავით ჩუბინაშვილმა (1814-1891).

შემდეგ ქართველოლოგიის მოამაგე პეტერბურგში იყო ალექსანდრე ცაგარელი (1844-1922) და ბოლოს ნიკო მარი (1864-1934). ამ უკანასკნელთან ერთად ამავე დარგს პეტერბურგში წინ სწევდნენ მისი მოწაფეები დიდი ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე და სხვები, მოსკოვში კი — ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912).

1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ქართველოლოგიის მთავარმა კერამ თბილისში გადმოინაცვლა.

ნიკო მარის სიცოცხლეში ქართველოლოგია კვლავ ძლიერი იყო ლენინგრადში, ქართული ენის კურსიც იკითხებოდა აქაური უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიისა და მატერიალური კულტურის აკადემიის სათანადო დარგებზე.

დიდი სამამულო ომის წლებში ეს მუშაობა დროებით შეფერხდა, მაგრამ შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა. ამ კეთილშობილ საქმეს სათავეში კარპეზ დონდუა ჩაუდგა.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენთვის საინტერესო დარგში შედარებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები — სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ლიტერატურის განყოფილების გამგე ანდრია აბრამიშვილი, განყოფილების თანამშრომლები ნინო იგნატიევა და ლუდმილა შეპელევა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის (ყოფილი აღმოსავლეთმცოდნეობის) ლენინგრადის განყოფილების ნიკო მარისა და იოსებ ორბელის სახელობის კავკასიური კაბინეტის თანამშრომლები რუსუდან ორბელი, საურმაგ კაკაბაძე და ზოგიერთი სხვაც.

ცნობილია ანდრია აბრამიშვილის თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. შარშან მან თბილისში გამოაქვეყნა ლიტერატურული წერილების საყურადღებო კრებული და წიგნი „ქართული პერიოდიკა“, ზემოხსენებული საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავში დაცული პერიოდიკის „ანოტირებული კატალოგი 1818-1917 წლებისა“ (ეს უკანასკნელი რუსულ ენაზეა დასტამბული).

რუსულ ენაზევე გამოქვეყნდა საურმაგ კაკაბაძის წიგნი ლენინგრადში დაცული „ქართული დოკუმენტები“ და რუსუდან ორბელის ლენინგრადშივე დაცული „ქართული ხელნაწერები“ (აღწერილობა 161 ხელნაწერისა), იბეჭდება ამ წიგნის მეორე ტომიც.

ქართული კულტურის ისტორიის საკითხების კვლევასა და პოპულარიზაციას ეწევიან წერილებით, მოხსენებებითა და საჯარო ბიბლიოთეკაში მკითხველთა მომსახურებით ნინა იგნატიევა და ლუდმილა შეპელევა. მათ დიდი შრომა გასწიეს რუსთაველისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეების ღირსეულად ჩატარებისათვის ლენინგრადში, აკეთებენ ქართული ლექსების რუსულ პწკარედებს. ლუდმილა შეპელევა 1964 წლიდან კითხულობს ლექციებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე, ხოლო საურმაგ კაკაბაძე — საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის საკითხებზე.

პროფესორი

იოსებ მეგრელიძე

პირველი ქართველი აკადემიკოსი

ქართველოლოგია ლენინგრადში

ჩვენი კალენდარი

ოქტომბერი

შემოდგომის მეორე თვე ბევრ საინტერესოს გვპირდება. ქართული კალენდრის უბრალო თვალის გადავლებაც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რაოდენ საყურადღებო მოვლენები მოხდარა ამ თვეში.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ 5 ოქტომბერს მთელი ჩვენი სამშობლო სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს მასწავლებლის დღეს. 12 ოქტომბერს კი თითოეული ჩვენგანი სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზეიმის თანამონაწილე იქნება. ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში, უფრო ზუსტად 19 ოქტომბერს, აღინიშნება კვების მრეწველობის მუშაკთა დღე და, ბოლოს, კიდევ ერთი დიდი ზეიმი — 29 ოქტომბერი კომკავშირის დაბადების დღეა.

ქართული კალენდრის 6 ოქტომბრის ფურცელზე ვკითხულობთ, რომ ამ დღეს სრულდება ცნობილი ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის თომა მთავრიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავი.

ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ესტატე მჭედლიძეს (ბოსლეველს) 7 ოქტომბერს დაბადების 115 წელი უსრულდება.

დაუშრეტელმა ენერგიამ და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულმა შეაქმნევინა დავით ჩუბინაშვილს საყურადღებო ნაშრომები ქართული კულტურის სხვადასხვა დარგში, შესანიშნავი ლექსიკონები. ჩვენი ერის საამაყო შვილის დაბადების 155 წელი 8 ოქტომბერს აღინიშნება.

165 წლის წინათ, 1804 წლის 14 აგვისტოს დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, სიტყვასა და საქმეში ქართულ შეპოდგომასავით ბარაქიანი, სწორუპოვარი მამულიშვილი.

21 ოქტომბერს ჩვენ სახელოვან თანამემამულეს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს გიორგი წერეთელს 65 წელი უსრულდება.

ამ თვეში კიდევ ერთი თარიღი აღინიშნება. 28 ოქტომბერს დაიბადა ცნობილი საბჭოთა მსახიობი თამარ ჭავჭავაძე (დაბადების 70 წლისთავი). გარდაიცვალა 1968 წელს.

ასეთია მოკლედ ქართული კალენდრის ოქტომბრის თვე.

ქრონიკა

„გრემჭალაჭობა“

ყვარელი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, განსაკუთრებით საინტერესოა ძველი ციხე-ქალაქი გრემი. 1966 წელს შესრულდა მისი არსებობის 500 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით აქ ბევრი რამ გაკეთდა — შესრულდა არქეოლოგიური სამუშაოები, შეკეთდა ისტორიული ძეგლი და საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მუზეუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი გიორგი ნერსესაშვილი.

ამას წინათ ენისლისა და გრემის სკოლების მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მოაწესრიგეს წყალში ჩასასვლელი. საიდუმლო გვირაბი.

მუზეუმში ინახება XVII საუკუნის მდიდრულად მოსევადებული ხმალი, მწერალ ლევან გოთუას მიერ გადაცემული XVI საუკუნის ზარი, სპარსული და არაბული ვერცხლის მონეტები.

გრემში ყოველწლიურად იმართება სახალხო ზეიმი — „გრემჭალაჭობა“. ზეიმში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მონაწილეობდნენ ახმეტის, ყიღნაღის, თელავისა და სხვა რაიონების მშრომელები.

ყვარლის კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა ეკლესიის ციხე-გალავანსა და ლევან მეფის სასახლეში წარმოადგინა ნაწყვეტები ლევან გოთუას „გმირთა ვარამიდან“. სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს შეეჯიბრნენ მარულაში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში.

„გრემჭალაჭობა“ ტრადიციად იქცა.

ფრონტელი მეგობრების შეხვედრა

სიხარულით შეხვდა პენსიონერი მასწავლებელი ვანო კეჭაყმაძე პოლონეთის არმიის პოლკოვნიკ იანუშ პშიმანოვსკის, რომელიც წიგნის „ოთხი ტანკისტი და ძაღლის“ და ამავე სახელწოდების სატელევიზიო ფილმის სცენარის ავტორია. იანუშ პშიმანოვსკი და მისი მეუღლე საქართველოს მწერალთა კავშირის მოწვევით სტუმრად იყვნენ თბილისში.

1943 წლის დამლევს და 1944 წლის დამდეგს საბჭოთა არმიის მაშინდელი ჯარისკაცი პშიმანოვსკი ავადმყოფობის შემდეგ მოხვდა საყარაულო ასეულში, რომელსაც კეჭაყმაძე მეთაურობდა. ჯარისკაცი უდიდეს ინტერესს იჩენდა საქართველოსადმი, თავისი მეთაურის სამშობლოსადმი, მისი ძველი ისტორიისა და შესანიშნავი ადამიანებისადმი.


ფრონტელი მეგობრები პირველად ერთმანეთს 23 წლის განმორების შემდეგ 1967 წლის აგვისტოს შეხვდნენ. მაშინ იანუშ პშიმანოვსკი საქართველოში ჩამოვიდა ფილმის „ოთხი ტანკისტისა და ძაღლის“ პრემიერაზე. საქართველოს ტელევიზიით გამოსვლის დროს მან თქვა, ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირის — გრიგოლ საკაშვილის პროტოტიპია უფროსი ლეიტენანტი კეჭაყმაძეო.

ვანო კეჭაყმაძე მას მეორე დღესვე გამოეხმაურა და პოლონელი მეგობარი თავისთან მახარაძის რაიონის სოფელ კვირიკეთში მიიწვია. პშიმანოვსკი, რა თქმა უნდა, გამგზავრა.

და აი ამ დღეებში ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. იანუშ პშიმანოვსკიმ თავისი უფროსი მეთაური გააცნო იმ ცნობით, რომ პოლონეთში უკვე მთავრდება მუშაობა ფილმის ახალ ცამეტ სერიაზე (სულ იქნება 21 სერია, 8 უკვე გადაღებულია) და აჩუქა მას თავისი წიგნის „სტუდიანის“ რუსული თარგმანი.

პშიმანოვსკის უთხრეს, მალე გამომცემლობა „ნაკადული“ გამოუშვებს ქართულ ენაზე „ოთხი ტანკისტისა და ძაღლის“ პირველ ტომსო.

(საქდესი).



ЭЭЦЭЭЦЭЭЦ

წყლის ქვეშ ველოსიპედით კაპიტანო!

ხიდის მოაჯირზე შემდგარმა ტიტლიკანა ბიჭუნამ ხელები წინ გაიშვირა, ოდნავ ჩაიმუხლა და კამარა შეჰკრა. ხიდსა და მდინარეს შორის თავდაყირა დაკიდებულს მრავალი თვალი მიშტერებოდა. ზოგი აღტაცებას ვერ მალავდა, ზოგი კი ხმამაღლა კიცხავდა ანცობისათვის. ხანში შესულმა ქალმა ლოყაზე იტაცა ხელი, ვაი მაგის დედას, დღეს თუ არა, ხვალ დაახრჩობს წყალიო...

საბედნიეროდ, ორმოცი წლის წინათ ნათქვამ ამ სიტყვებს ახდენა არ ეწერა. ერთი კი იყო, შორსმცურავი გემის კაპიტანს ვახტანგ ბარათაშვილსა და მის გემებს აბობოქრებულმა ზღვის ტალღებმა მრავალგზის დაუპირეს შთანთქმა, მაგრამ ამაოდ — მდინარე რიონში ნასწავლმა მხარულმა ყველგან უშველა, ყოველთვის გამარჯვებული გადიოდა ნაპირზე.

ოცდაათი წელიწადია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ვახტანგ ბარათაშვილი საბჭოთა მეზღვაურის სახელს ატარებს, სერავს ზღვებსა და ოკეანეებს, ყოფილა ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა ქვეყანაში. შრავალგზის გადაუცურავს ეკვატორი, ქარბული მიწის სითბო მიუტანია ჰავაისა და კურილის კუნძულებზე, უნადირია ჩრდილოეთის ზღვაზე, ლექციები წაუკითხავს კუბელი მეზღვაურებისათვის, საათობით უსაუბრია ჩარლი ჩაპლინთან, ჯეკ ლონდონის ქვრივთან, ინგლისელ დრამატურგ პრისტლისთან, ფინელ მწერალ მარტი ლართან. ფეხი დაუდგამს იმ ბილიკზე, რომელზეც მათეო ფალკონემ თავისი საყვარელი ვაჟიშვილი ფორტუნატო დახვრეტის წინ გაატარა...

შეკითხვაზე, როგორ გახდით მეზღვაური, ვახტანგ ბარათაშვილი ასეთ პასუხს იძლევა: იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ბავშვობიდანვე არ ოცნებობდეს მოგზაურობაზე, ჰოდა, მეც ოცნებას ავყევი და იგი, როგორც ხედავთ, სინამდვილედ მექცა...

და აი, ვახტანგ ბარათაშვილიც პირველ ნაბიჯებს დგამს სანუკვარი მიზნისაკენ. საკუთარი თავი რომ გამოცადოს დამოუკიდებელ ცხოვრებაში, კომკავშირული საგზურით მოსკოვში მეტროპოლიტენის მშენებლობაზე მიემგზავრება. როდესაც იგრძნო, ყველაფერი რიგზეაო, ლენინგრადის საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები. გემზე რიგით მეზღვაურად ავიდა, შემდეგ კაპიტნის მესამე თანაშემწე გახდა. მერე მეორე თანაშემწედ დაწინაურეს. უფროს თანაშემწედაც იცურა და აგერ ოცი წელიწადია გემის კაპიტნად იწოდება. ვახტანგ ბარათაშვილი მსოფლიოს სხვადასხვა ნავსადგურში შესულა როგორც კაპიტან-დირექტორი, ექსპედიციის უფროსი, ფლაგმანი კაპიტანი...

ვახტანგ ბარათაშვილის სახელთან დაკავშირებულია საზღვაო პრაქტიკაში განხორციელებული ისეთი უნიკალური გადასვლა, როგორიც არის მცურავი დოკის გადაყვანა ლენინგრადიდან ვლადივოსტოკში. ამ ცურვის დროს გემებს, რომლებსაც ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ხელმძღვანელობდა, ათეული ზღვის გარდა, ატლანტიკის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების გადასერვა მოუხდათ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ხშირი მოგზაურობა ვახტანგ ბარათაშვილს საშუალებას აძლევს საკმაოდ კარგად შეისწავლოს სხვა ერის, სარწმუნოებისა თუ რწმენის ადამიანთა სულიერი სამყარო. საათობით შეუძლია ისაუბროს თვალით ნანახსა და განცდილზე, თითოეული ქალაქის ღირსშესანიშნაობებზე, მის ისტორიულ ძეგლებზე, მუზეუმებსა და თეატრებზე.

— მთელოდნელობით სავსეა მეზღვაურის ცხოვრება, — გვეუბნება კაპიტანი, — ყოველ დღეს რაღაც ახალი მოაქვს, აბობოქრებულ სტიქიასთან ბრძოლას წყნარი ამინდი ენაცვლება, კეთილ და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებით მიღებულ შთაბეჭდილებას გესლიან, ბოროტ კაცთან გადაყრა ჩაგამწარებს. ისეთებსაც შევხვედრივარ, ჩვენს სინამდვილეს ყურმოკრული ჭორებით რომ იცნობენ. მარსელში ერთმა ქართველმა ისიც კი მკითხა, საქართველოში საუბრის დროს სიტყვა ბატონოს თუ ხმარობენო.—კი, ბატონო, — ვუპასუხე და მის გაბრწყინებულ თვალებში სიხარული ამოვიკითხე. ეამა, სხვებისაგან ჩაგონებული აზრი სინამდვილე რომ არ გამოდგა.

ლოს-ანჯელესის ნავსადგური ბურუსში გახვეულიყო. რომ იტყვიან, თვალთან თითის მიტანაც კი ძნელდებოდა. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის გემები რეიდზე იდგნენ და გამოდარებას ელოდნენ. ტვირთს, რომელიც ჩვენს გემებს მიჰქონდათ, საჩქაროდ მოელოდნენ ნავსადგურში, ბურუსი კი, ვინ იცის, როდის გაიფანტებოდა. საბჭოთა გემების ფლაგმანმა ვახტანგ ბარათაშვილმა მეტად გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. ლოცმანის დაუხმარებლად გემები ნავსადგურში შეიყვანა. რაოდენ დიდი იყო ლოს-ანჯელესის ნავსადგურის მესვეურთა გაკვირვება, როდესაც შიგა რეიდზე ერთმანეთის მაყოლებით წითელალმიანი ექვსი გემი ჩამწკრივდა. მადლობის მეტი რა ეთქმოდათ. ფლაგმანის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაშიც ასე ეწერა: „გმადლობთ და ყოჩაღ, საბჭოთა მეზღვაურებო!“

...ვინც ჯეკ ლონდონის სახლ-მუზეუმში ყოფილა, ნახავდა კარადას, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული ამ დიდი მწერლის წიგნები აწყვია, მათ შორის ქართულ ენაზე თარგმნილი ჯეკ ლონდონის თხზულებათა კრებულსაც შეხვდებით. ეს წიგნი მწერლის სახლ-მუზეუმს ვახტანგ ბარათაშვილმა შესწირა.

ჩვენი თანამემამულის გაცნობით კმაყოფილმა კუბელმა პოეტმა ნიკოლას გილენმა სასურველ სტუმარს საკუთარი წიგნი აჩუქა და წაუწერა: „მიხარია, რომ გაგიცანით, იმედია, ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება“... და გრძელდება მეგობრობა მსოფლიოს სხვადასხვა ერის ადამიანებთან, გრძელდება გზები. უსასრულოა გზა, არც მეგობრობამ იცის საზღვარი.


ღვაწლმოსილი კაპიტანი ისევ საყვარელ საქმეს ემსახურება. ერთი კი არის, ახლა ისე ხშირად აღარ გადის ზღვაში. საქართველოს სამრეწველო ფლოტის მთავარ კაპიტანს ხმელეთზეც ბევრი საზრუნავი გაუჩნდა. დროდადრო წლების მანძილზე განცდილი და თვალით ნანახი ქაღალდზე გადაჰქვს. ათი წიგნის ავტორისაგან კიდევ ბევრს მოელის მკითხველი.

თმაში ჭაღარა შეერია, სიმხნევე კი ძველებური შერჩა. არც მკლავსა და მუხლში უგრძნია სისუსტე, თვალიც ძველებურად უჭრის და გულიც ერჩის. — რამდენ ხანს აპირებს კიდევ ცურვას? ამ შეკითხვამ ცოტა არ იყოს, ჩააფიქრა, შემდეგ გაიღიმა და თქვა: მეზღვაურებს ერთი ჩვევა აქვთ: ზღვაში გასვლისას ნეპტუნს მომავალი შეხვედრის ავანსად ხურდა ფულს უყრიან. უკანასკნელი ცურვის დროს ასეთი ხარკი მეც გავიღე, ასე რომ, ზღვაში ერთი გასვლა კიდევ მეკუთვნის. ეს ხუმრობით, ისე კი, ალბათ, საკმაოდ დიდხანს ვიცურავებ. ბევრჯერ გავუწირავარ ზღვას, მე კი ერთხელაც მიჭირს მისი გაწირვა...

დიახ, ოცნება, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ რიონის ტალღებში მოცურავე ბიჭს გაუჩნდა, ჯერ არ დასრულებულა. როგორც მაშინ, ვახტანგ ბარათაშვილი ახლაც აბობოქრებული ტალღების შესახვედრად მიიჩქარის, ზღვის მგელს ჯერ ისევ ზღვისკენ უჭირავს თვალი...

ზურგის ქარს გისურვებთ, კაპიტანო!

ომარ მესხიშვილი



შორეული ცურვის კაპიტანი ვახტანგ ბარათაშვილი

ჩვენი ინტერვიუ

მზე, ზღვა და... ნოდარ დუმბაძე

სოხუმიდან გულრიფშამდე ათიოდე წუთი დამჭირდა. ზღვასა და მთებს შორის მოქცეულ ამ სოფელს ოდითგან უქებდნენ სტუმართმოყვარეობას. და მართლაც, მასპინძლის გულუხვობა, თორემ ამ ზღვა ხალხს რა დაიტევდა...

დილაა და ყველა სანაპიროსკენ მიიჩქარის.

— ნოდარ დუმბაძის აგარაკს ვერ მიმასწავლით? — ვეკითხები პირველსავე შემხვედრს.

— ზღვისპირას ცხოვრობსო. — მიხსნის ცისფერთვალება ქალიშვილი და მეგზურობას მთავაზობს.

ეზოში შესვლა ვერ გავბედე. უზარმაზარი გერმანული ნაგაზი წამოწოლილიყო ნაძვების ჩრდილში.

— მასპინძელო! — ვყვირი ჭიშკართან.

საბანაო კოსტუმში გამოწყობილი მწერალი ეზოში მეპატიჟება. თან მამხნევებს, ძაღლისა ნუ გეშინია, ორი თვის წინ მაჩუქეს, ჯერ კბენა არ მისწავლებიაო...

ხშირ სტუმრობას ჩვეული ჩასვლის მიზეზს არც კი მეკითხება, ისე მიმიძღვის სახლისკენ. ბოდიშს იხდის, — ცოლ-შვილი ორი კვირაა რაც ფილისში გავაგზავნე და აქაურობას დიასახლისის ხელი მოაკლდაო.

პირდაპირ საქმეზე გადავდივარ:

— ვიცით, ახალ წიგნზე მუშაობთ, იქნებ ერთი ნაწყვეტი გამოაქვეყნოთ ჩვენს გაზეთში?

კარგა ხანს ჩუმად არის. ვატყობ, ნათქვამმა შეაცბუნა.

— რა გიპასუხო, არ ვიცი. თქვენს გაზეთში ჩემი ნაწარმოების გამოქვეყნება დიდ პატივად მომაჩნია, მაგრამ რომანი, რომელზეც ახლა ვმუშაობ, საკონკურსოა. თუნდაც ერთი სტრიქონის გამოქვეყნება წინასწარ, კონკურსში მონაწილეობის უფლებას მიკარგავს...

რაღა მეთქმოდა. ასეთ დროს თხოვნის გამეორება უაზრობაა. ცოტა არ იყოს, მოვიწყინე.

მწერალი მიმიხვდა გულისტკივილს და ჩემი გამხიარულება სცადა. დილით დაჭერილი კარგა მოზრდილი თევზი მიჩვენა — ასეთი ორი დავიჭირე, ერთი მეზობელს მივეცი... ისიც დააყოლა, ამბობენ, თევზაობა კაცს ნერვებს უწყნარებს. ჩემზე კი პირიქით მოქმედებს. განსაკუთრებით მაშინ ვსკდები გულზე, შინ ხელცარიელი რომ ებრუნდებიო.

საუბარი აიწყო და მეც ნელ-ნელა ვაპარებ კითხვებს.

— „ნიანგი“ არ მოგენატრათ, პატივცემულო ნოდარ?

— ძალიან. საერთოდ, თბილისიდან წასვლა დიდი ხნით არ მიყვარს, მაგრამ სამუშაომ გამიტაცა და ვიდრე არ დავამთავრებ, ფეხს არ მოვიცვლი.

— რა თემაზე წერთ წიგნს?

— მინდა მკითხველს თანამედროვე ქართველ ჭაბუკზე მოვუთხრო, რომელიც სამხედრო სამსახურს მესაზღვრეთა ნაწილში გადის.

— რა გვარის კაცია თქვენი გმირი?

— ჯაყელი. მესაზღვრეთა ცხოვრების უკეთ შესასწავლად ორი თვე სასაზღვრო ნაწილში გავატარე.

— რა მოგონებები წამოგყვათ იქიდან?

— იმდენი ველაპარაკე ჩემს მეგობრებს საზღვარზე გატარებულ დღეებზე, რომ დაბადების 41 წლისთავზე ის გერმანული ნაგაზი მაჩუქეს, თქვენ რომ შეგაშინათ. ისე კი, მე თუ მკითხავთ, მესაზღვრეთა ცხოვრება მეგობრობისა და ვაჟკაცობის ეტალონად უნდა ვაღიაროთ.

ეზოში მაღალი, თეთრთმიანი კაცი შემოვიდა. ნოდარი შეეგება, გამაცნო.

სტუმარი საინტერესო პიროვნება გამოდგა. რომელ ჩვენგანს არ გაახარებდა კონსტანტინე სიმონოვის გაცნობა.

კარის მეზობლებს ორი დღე არ ენახათ ერთმანეთი და სალაპარაკოც ბევრი დაგროვებოდათ.

— მაჩვენე, როგორი გამოვიდა შენი ბუხარი, მოპირკეთებას რომ უპირებდი, — სთხოვა სიმონოვმა მასპინძელს და ყველანი მეორე ოთახისაკენ გავემართეთ.

ნასელავით მოხიბლული დავრჩით, განსაკუთრებით ბატონი კონსტანტინე იყო აღტაცებული.

რამდენჯერმე გაიმეორა — აი, ნამდვილი ქართული ბუხარი, მეც ასეთი უნდა გავიკეთო ჩემთვისო. შემდეგ ისევ ლიტერატურის ამბებს დავუბრუნდით.

— გუშინ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ხელმეორედ გადავიკითხე. თარგმანი ცუდი არ არის, მაგრამ ზოგან იუმორი მაინც დაკარგულად მომეჩვენა. ხელმეორედ გამოცემისას ამას ყურადღება უნდა მიექცეს,— შენიშნა სიმონოვმა. სტუმრის გულწრფელმა სიტყვებმა ყველა გვასიამოვნა. საერთოდ, მის საუბარში ცხადად იგრძნობოდა ჩვენი ხალისიადმი უანგარო მეგობრობა. უნდა გენახათ, რა ალალი მადლობა გადაგვიხადა, ჩვენი გაზეთის ის ნომერი რომ ვაჩუქე, მისი სტატია „თვითმფრინავები კოშკების თავზე“ რომ არის გამოქვეყნებული.

შუადღემ მოატანა. ჩამოცხა. სანაპიროზე ერთად გავედით. ასეთ დროს პლაჟზე ხალხი ცოტაა. წყნარი და უკიდეგანო ზღვა თავისკენ გვიხმობდა. წყალში პირველი ნოდარი შევიდა, მხარულიად გააპო ტალღები. კარგა ხანს იცურა ასე. შემდეგ გულაღმა გადაბრუნდა, ხელები გაშალა და ერთ ადგილას გაირინდა. და მე ვიგრძენი — თაკარა მზის ცქერა როგორ უხარებდა გულს...

რეზო მაჭავარიანი,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი,
გულრიფში.

სერგო ევლახიშვილი დგამს „ჰამლეტს“

მთელი მსოფლიო მოიარა გამოჩენილი საბჭოთა კინორეჟისორის კოზინცევის მხატვრულმა ფილმმა „ჰამლეტმა“, რომლისთვისაც მუსიკა დაწერა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა. მან ადრეც შექმნა „ჰამლეტის“ მუსიკა დრამატული წარმოდგენისათვის. ამ ორი ნაწარმოების საფუძველზე იდგმება ფილმ-ბალეტი „ჰამლეტი“, რომელსაც იღებს მოსკოვის ცენტრალური ტელესტუდია.

ფილმის დამდგმელი რეჟისორია ტელევიზიის გამოცდილი მუშაკი სერგო ევლახიშვილი.

სპორტი

შოთა ლომიძე — ევროპის ჩემპიონი



სოფიაში, ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ბრწყინვალედ გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. ხუთ საბჭოთა სპორტსმენთან ერთად ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა კონტინენტის 1966 წლის ჩემპიონმა, თბილისელმა შოთა ლომიძემ.

შოთას გამარჯვება იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ აქამდე იგი მხოლოდ ქვემძიმე წონაში გამოდიოდა. ახლა მან წარმატებით შეცვალა სახელგანთქმული ფალავანი ალექსანდრე მედვედი და უველაზე მჩატემ მეტოქეთა შორის მძიმე წონაში დაიმსახურა ოქრო.

თბილისელი ნოდარ ხოხაშვილი ამჯერად ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.



სურათზე: თასის ფინალი.
უტევს თბილისელი ვლადიმერ უგრეხელიძე.

კალათბურთი

სსრ კავშირის თასი — თბილისის „დინამოს“

დიდი ინტერესი გამოიწვია კალათბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების დასკვნითმა მატჩებმა, რომლებიც თბილისში გაიმართა.

საუცხოოდ ითამაშეს თბილისის დინამოელებმა. ნახევარფინალურ მატჩში მათ დამაჯერებლად სძლიეს მოსკოვის „დინამოს“ (100:91). ამ დღეს განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისელთა ვეტერანი ანზორ ლეჟავა.

ფინალურ მატჩში თბილისის „დინამოს“ მეტოქე იყო კიევის „სტროიტელი“. ანგარიშით 88:78 გაიმარჯვეს თბილისელებმა და მესამედ დაეუფლნენ სსრ კავშირის თასს. ბრწყინვალედ ითამაშა ლევან მოსეშვილმა, რომელმაც გუნდს 30 ქულა შესძინა.

ქალთა შორის თასის ძირითად პრეტენდენტებად ითვლებოდნენ რიგის პოპულარული გუნდი — ტტტ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. ფინალში ლატვიელმა გოგონებმა სძლიეს თბილისელებს 68:58 და თასიც თან წაიღეს.

ჭადრაკი

ტრიუმფი ღუბლინში

ვოლოგეთის ქალაქ ლუბლინში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა. იგი საუცხოოდ წარმართა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მისი ყოფილი მეტოქე ალა კუშნირი და სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია. გუნდმა, რომელსაც წვრთნიდნენ ცნობილი სპეციალისტები ბუხუტი გურგენიძე და ალექსანდრე კონსტანტინეპოლსკი, 28 შესაძლებლიდან 26 ქულა მოაგროვა, რაც ბრწყინვალე შედეგად უნდა ჩაითვალოს. საუცხოოდ ითამაშა სამივე მონაწილემ. ეს განსაკუთრებით ნონა გაფრინდაშვილზე ითქმის, რომელსაც უველაზე ძნელ შეხვედრებში უხდებოდა მონაწილეობის მიღება. ნანა ალექსანდრია ოლიმპიადაზე პირველად გამოდიოდა, მაგრამ ჩინებულად იპაექრა.

მეორე ადგილი უნგრელებს დარჩათ, მესამე — ჩეხოსლოვაკიის კოლექტივს.

მაშ ასე, ჩვენი მოჭადრაკეები უკვე მეოთხედ დაეუფლნენ „ვერა მენჩიკის თასს“ და ოქროს მედლებს.

ქუთაისელ რეგბისტთა გამარჯვება

ბათუმში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირველობა რეგბიში. რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ქუთაისის „დინამოს“ ახალგაზრდულმა კოლექტივმა, რომელმაც ათი შესაძლებლობიდან 7 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, მესამეზე კი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტები.

პლუს ბრინჯაო

ვარშავაში, სპორტის სასახლე „ტორვარში“, ამ დღეებში გაიმართა მსოფლიოსა და ევროპის პირველობა ძალოსნობაში.

ქვემსუბუქი წონის ძალოსანმა თბილისელმა დიტო შანიძემ ოქროს მედალი მოიპოვა აკვარში (150 კგ), მესამე იყო ატაცში, სამჭიდში დააგროვა 380 კილოგრამი და თავის ოლიმპიურ ვერცხლს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალიც შემატა.

მიეძღვნა ხერგიანის ხსოვნას

სექტემბრის პირველ რიცხვებში ალპინისტთა ჯგუფმა შალვა მარგიანის, იოსებ კახიანის, შამილ დადეშქელიანისა და გელა გუგავას შემადგენლობით, ურთულესი გზით დალაშქრა სვანეთის მწვერვალ აილამას სამხრეთი კედელი.

ლაშქრობა მიეძღვნა სახელოვანი ქართველი მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის ხსოვნას.

ფეხბურთი

ვის დარჩება მესამე პრიზი?

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში გადამწყვეტ ფაზაში შედის.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახლა პირველი ადგილისათვის მხოლოდ ორი გუნდი იბრძვის: მოსკოვის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“. რაც შეეხება მესამე საპრიზო ადგილს, მისი პრეტენდენტი სამია: ცსკა, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“.

თბილისელებმა ორი უკანასკნელი მატჩი საკუთარ მოედანზე გამართეს. ეს შეხვედრები ძალზე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ბაქოს „ნეფტჩისთან“ თამაში უფერული გამოდგა და დამთავრდა ანგარიშით 1:1.

სამაგიეროდ, მომდევნო შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან“ თბილისელებმა ბრწყინვალედ წარმართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ორი ბურთის ავტორია ლევან ნოდია, ერთისა — გოჩა გავაშელი. მოსკოველებმა ერთადერთი ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანეს.

„შავგულიძის თასი“ — „მეტალურგს“

კვირას, 21 სექტემბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა პოპულარული ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა შავგულიძის სახელობის თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის „მეტალურგი“ და ზუგდიდის „ენგური“.

მატჩი მოიგო (1:0) რუსთავის „მეტალურგმა“, ქვეჯგუფის გუნდებს. პირველი ადგილისათვის ბრძოლა ახლა ძირითადად ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და თბილისის „ლოკომოტივს“ შორის მიმდინარეობს.

თბილისის „ლოკომოტივმა“ კარგად წარმართა ბოლო ორი მატჩი. ჯერ იყო და, მან საკუთარ სტადიონზე ანგარიშით 5:0 სძლია ლენინაკანის „შირაქს“. აქედან 4 ბურთის ავტორია ელგუჯა ხუციშვილი (მან წლეულს 20 ბურთი გაიტანა). 22 სექტემბერს კი სუმგაითში 2:0 მოუგო ადგილობრივ „ფოლადს“.

ახლა „ლოკომოტივს“ 35 თამაშიდან 46 ქულა აქვს.

„ჟალგირისი“ თუ „ლოკომოტივი“?

5-5 მატჩიღა დარჩათ მოსაწყობი ფეხბურთელთა მეორე ჯგუფის მეოთხე

ლიდერია გორის „დილა“

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა ტურნირის ამიერკავკასიის ზონაში დაიწყო ფინიში. პირველი ადგილის ძირითადი პრეტენდენტია გორის „დილა“, რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ანატოლ ნორაკიძე ხელმძღვანელობს. „დილა“ თამაშობს შემტევი სტილით, ენერგიულად. გამოირჩევიან თავდასხმელები ბურჯანაძე, კაპანაძე, მესხაძე...

აი გათამაშების ცხრილი დღეისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დილა“ (გორი)	29	17	9	3	62—18	43
2. „გურია“ (ლანჩხუთი)	29	16	7	6	39—21	39
3. „ავტომობილისტი“ (ერევანი)	28	15	7	6	39—26	37
4. „მეტალურგი“ (რუსთავი)	29	12	12	5	39—24	36
5. „მერცხალი“ (მახარაძე)	28	13	9	6	41—20	35
6. „ფეიქარი“ (მინგეჩაური)	29	12	8	9	40—33	32
7. „ლორი“ (ქიროვაკანი)	29	14	3	12	30—28	31
8. „კახეთი“ (თელავი)	29	12	6	11	40—36	30
9. „ლერნაგორცი“ (კაფანი)	29	14	2	13	31—37	30
10. „შუქურა“ (ქობულეთი)	29	11	6	12	33—34	28
11. „ალაზანი“ (გურჯაანი)	29	9	9	11	29—29	27
12. „დაშკინი“ (ზაქათალა)	29	9	8	12	27—45	26
13. „ენგური“ (ზუგდიდი)	29	9	7	13	26—41	25
14. „კოლხეთი“ (ფოთი)	29	6	12	11	19—30	24
15. „ყარაბაღი“ (სტეფანაკერტი)	29	7	10	12	21—33	24
16. „სევანი“ (ოქტომბერიანი)	29	7	9	13	29—39	23
17. „სპარტაკი“ (ცხინვალი)	29	7	9	13	26—39	23
18. „მაღაროელი“ (ჭიათურა)	29	9	5	15	21—37	23
19. „დინამო“ (სოხუმი)	29	8	6	15	32—36	22
20. „არაზი“ (ნახიჭევანი)	29	6	8	15	14—34	20

რაზე წერდნენ ქართული გაზეთები

100 წლის წინათ

□

მთიელების სიტყვიერება

⊙ მთიელებს თითქმის სრულებით არა აქვთ ის, რასაც ჩვენ ლიტერატურას ვუწოდებთ; იმათი ლიტერატურა სწორეთ სიტყვიერებაა, იმიტომ რომ ყველა თავის ჰკუის ნაწარმოები იმათ ზეპირათ იციან და ერთი შთამომავლობიდან მეორემდი ამ რიგათ— სიტყვით გადადის ხოლმე. მთიელების სიტყვიერება შესდგება ლექსებისა, არაკებისა, ზღაპრებისა და ანდაზებისაგან, ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდონიმე არაკს და იგავს, რომ ცოტათი მაინც გავაცნოთ ჩუენი მკითხველი მთიელების ჰკუის ნაწარმოების მდგომარეობას.

⊙ ერთ ბრმა მთიელს დაეჭირა ღამე ხელში სანთელი და დოქით წყალი მიჰქონდა წყაროდან. ვიღაც შემოხვდა გზაზე და უთხრა: — შენთვის სინათლე და სიბნელე ხომ ერთია: მაშ სანთელი რას გიკეთებს? ბრმამ უთხრა: —„ეს სანთელი ჩემი გზის გასანათებლად კი არ მიჭირავს ხელში; იმიტომ დამაქვს, რომ შენისთანა ოხერი რომ შემომხვდება გზაზე, არ დამეჯახოს და დოქი არ გამიტეხოს!“.

იგავები

⊙ თუ გინდა მზეში სანთელი აგინთია და თუ გინდა უგუნურისათვის კეთილი სიტყვა გითქვამს — სულ ერთია.

⊙ ვინც უჭაფოდ პურსა სჭამს, იმან ხეირიანი ჭამა არ იცის.

⊙ ვისაც სხვისი ბედნიერება არა სურს, ის თავისას უერასოდეს ვერ მოესწრება.

1869 წლის სექტემბერი, „დროება“.

ვაჭრო, შვილივით ნაზარდო!



ვალერიან გენგიურის ფოტო

კეთილო, რქადაგრეხილო! კახელი გლეხივით ხალისიანო, მადლიანო, ბარაქიანო! ქართველი კაცის იმედო და სიამაყევ! მერამდენედ ვხვდებით ერთმანეთს!? აჰა, რთველიც დაიწყო!

ქართული სამზარეულო

ხარშო

ხუთასი გრამი მსუქანი ძროხის ხორცი (უმჯობესია მკერდის ნაწილი) გარეცხეთ, დაჭერით პატარა ნაჭრებად, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით 8-10 ჩაის ჭიქა ცივი წყალი და დადგით მოსახარშად. ხარშვის დროს მოხადეთ ქაფი, შემდეგ დაუმატეთ ორ-ორი ძირხვენა ოხრახუში (Petroselinum sativum) და ნიახური (Apium graveolens). ერთი საათის დუღილის შემდეგ ჩაუმატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა გარჩეული, გარეცხილი ბრინჯი, წვრილად დაჭრილი 3-4 თავი ხახვი და ხარშვა განაგრძეთ ნელი დუღილით. 10-15 წუთით ადრე, ვიდრე ხორცი და ბრინჯი მოიხარშება, წვნიდან ამოიღეთ მოხარშული ოხრახუში და ნიახური. წვენს დაუმატეთ 6-8 ძირი წვრილად დაჭრილი ქინძი, 6 ღერი წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი, ერთად დანაყილი 3 კბილი ნიორი, ერთი ჩაის კოვზი გამხმარი ულუმბო (Petroselia coerulea), ნახევარი ჩაის კოვზი ქინძის თესლი (Semina coriandri), ერთი ჩაის კოვზი იმერული ზაფრანა (Tagetes patula), წიწაკა და მარილი (გემოვნებით). შემდეგ შეურიეთ მოხარშული და საცერში გატარებული ტყემალი ან დამბალი და საცერში გატარებული ტყემლის ტყლაპი (შეიძლება გამოიყენოთ ტყემლის ან პამიდორის მზა საწებელი, რომელიც შეზავებულია საჭირო სურნელოვანი სანელებლით).

ხარშო შეიძლება აგრეთვე პამიდორით მომზადდეს (500 გრამი პამიდორი ან ნახევარი ჩაის ჭიქა პამიდორის პიურე), ან შეზავდეს ღვინის ძმრით. ამ შემთხვევაში ტყემალი ან ტყლაპი საჭირო ადარ არის.

სუფრაზე მიტანისას ხარშოში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი ან ქინძი.

დაგეძებენ, მოგელიან

ძმებს გენედიძტე და შოთა იოსების ძე შვანგირაძეებს

დაბადებულთ 1914 და 1919 წლებში წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში, ეძებენ ამავე სოფელში მცხოვრებნი: დედა —**მარიამ ბესარიონის ასული შვანგირაძე,** და — **თამარ შვანგირაძე.**

როსტევან ლავრენტის ძე მშველიძეს

დაბადებულს 1923 წელს ხაშურის რაიონის დაბა სურამში, ეძებს და — **მარიამ მშველიძე,** მცხოვრები სურამში, საბჭოს ქუჩა № 38-ში.

ალექსანდრე ლუკას ძე ეჯიბიას

დაბადებულს 1909 წელს, ეძებს მეუღლე — **ბარბარე ემანუილის ასული ლოლაძე,** შვილი — **თეიმურაზ ეჯიბია,** მცხოვრებნი თბილისში, ლენინის ქუჩა № 74-ში.

ჩვენი ეიწის შეკრებაა

საქართველო დედამიწის ის მადლიანი კუთხეა, რელიეფის მრავალფეროვნებითა და ზომიერი ჰავით რომ გამოირჩევა. თბილისის ამინდის ბიუროს მოკლევადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსმა, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ელენე გძელიშვილმა** გაგვაცნო წლევანდელი შემოდგომის პირველი ნახევრის ამინდის პროგნოზი.

— სექტემბერს აგვისტოსათვის დამახასიათებელი სიცხე შემოჰყვა. მაგრამ 7 სექტემბრის შემდეგ აგრილდა — საქართველოზე ატლანტიკის ოკეანიდან გავრცელდა ჰაერის ცივი მასები. მთელ რესპუბლიკაში წვიმდა, ბათუმის რაიონში ერთ დღე-ღამეში 100 მმ-ზე მეტი ნალექი მოვიდა. დასავლეთ საქართველოში მაქსიმალური ტემპერატურა 20-22 გრადუსამდე დაეცა, აღმოსავლეთ საქართველოში — 16-დან 20 გრადუსამდე.

შავი ზღვის პირას დამსვენებლები ნაადრევად შეშფოთდნენ — სექტემბრის მეორე დეკადაში კვლავ დათბა, ტემპერატურამ 25-28 გრადუსამდე აიწია.

სექტემბერთან შედარებით ოქტომბერში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 3-5 გრადუსით დაიწევს. სანაპირო და შიგა დაბლობ რაიონებში პირველი დეკადის ნახევარში წვიმებია მოსალოდნელი. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 15-17 გრადუსი იქნება.

პირველი დეკადის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვარაუდობენ წვიმას, ზოგან ჭექა-ქუხილით, ასეთივე ამინდი იქნება დეკადის შუა რიცხვებში. შედარებით მშრალი ამინდი დადგება ქართლის ველზე, გარე და შიდა კახეთში, თუმცა აქაც იწვიმებს მეორე დეკადაში. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 16-21 გრადუსი იქნება.

როგორც ვხედავთ, შემოდგომა საკმაოდ ზომიერ ამინდს გვპირდება, სწორედ ისეთს, ჩაის, ციტრუსებისა და ტურიზმის ქვეყანას რომ შეეფერება.

შინაგანი ქრონიკა

ამ დღეებში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმმა განიხილა გაზეთ „სამშობლოს“ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

გაზეთის ფორმატისა და ფუნქციების გადიდებასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა საჭიროდ ცნო გაეზარდა სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა, შეევსო იგი ახალი წევრებით.

გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრებად დამტკიცდნენ: მარიკა ბარათაშვილი (მწერალი), დავით გამეზარდაშვილი (ჟურნალისტი, პროფესორი), ვაჟა გვახარია (მუსიკისმცოდნე, პროფესორი), ოთარ ჩუბინიშვილი (უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ კავების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე), ლევან გოთუა (მწერალი), ლადო გუდიაშვილი (სახალხო მხატვარი), ოთარ ეგაძე (ჟურნალისტი, ხელოვნებისმცოდნე), ვახტანგ მსმანჯია (ჟურნალისტი, გაზეთის რედაქტორი), რევაზ მარგიანი (პოეტი), შოთა მესხია (ისტორიკოსი, პროფესორი), ვასილ მჭედლიშვილი (ჟურნალისტი, გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი), ამირან ცამციშვილი (ისტორიკოსი), სერგი წულაძე (დოცენტი, მწერალი).

რედაქტორი
ვახტანგ მსმანჯია.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

66488

ფასი 4 კაპ.